**ს ა ქ ე ნ ე რ გ ო**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**SAQENERGO**
*Limited Liability Company*

№ 011/19

15. 10. 2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „საქენერგო" (ს/კ: 448054499) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე, გეგმავს 3,0 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ხრამი 7 ჰეს"-ის მშენებლობას - მისი შემდგომი ფლობისა და ოპერირების მიზნით.

აღნიშნული ჰესის სათავე ნაგებობა, რომლის კაშხლის სიმაღლე წინასწარი კვლევებით არის 4-5 მეტრამდე, მდებარეობს მდინარე ხრამზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 496,0 ნიშნულზე (ზედა ბიეფის ნომინალური შეტბორვის ნიშნული დაახლოებით 500,0 მ), ჰესის სააგრეგატე შენობა მდებარეობს მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე ზღვის დონიდან 476,0 ნიშნულზე, ხოლო სადაწნეო მილსადენი, რომლის სიგრძეა 1500 მეტრამდე და დიამეტრი 2200 მმ, იქნება ჩაფლული მიწაში და ასევე მდებარეობს მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ არსებული ტერასის ქვეშ.

ჰესის საანგარიშო ხარჯია - 16 მ3/წმ. სანიტარული ხარჯი - 1,82 მ3/წმ.

ჰესი დაუკავშირდება ენერგოსისტემას 35 კვ -იანი, დაახლოებით 5-6 კმ სიგრძის გადამცემი ხაზით, ბოლნისის ქვესადგურში.

უახლოესი მაცხოვრებელი ჰესის სათავე ნაგებობიდან დაშორებულია 850 მეტრით (სოფელი დისველი), ხოლო უახლოესი მაცხოვრებელი ჰესის სააგრეგატე შენობიდან დაშორებულია 1100 მეტრით (სოფელი ქოსალარი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის (საქმიანობის სკრინინგი) მეორე პუნქტის მოთხოვნის თანახმად, ჩვენს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას შესაბამის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

**დანართი:**

1. სკრინინგის ანგარიში;

2. პროექტის GIS კოორდინატები shp ფაილის სახით.

პატივისცემით,
შპს „საქენერგო"-ს დირექტორი: ნურივერ უმეთაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14633
15 10 2019
1/CD
02

მისამართი: თბილისი, წერეთლის 67, ბ-10 555 22 22 44

კოდი / **ID code 448054499** ; საქართველო / **Georgia** ; ტელ / **Phone** ~~+995 577 95 06 06~~ ;
ელ. ფოსტა/ **E-Mail nurver69@mail.ru**